საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/165 " 18 " ნოემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ნ. გოგატიშვილის გორის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4^1 პუნქტების საფუძველზე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანდართული დასაბუთების შესაბამისად, ნინო გოგატიშვილი 2020 წლის 1 დეკემბრიდან გამწესდეს გორის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა
ნინო გოგატიშვილის გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2020 წლის 26 ივნისის №1/89 გადაწყვეტილებით გამოცხადდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ ვაკანსიებზე, მათ შორის გორის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 4 ვაკანტურ თანამდებობაზე.

კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2020 წლის 29 ივნისიდან 19 ივლისის ჩათვლით. მითითებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 25 კანდიდატი.

2020 წლის 24 ივლისიდან 21 აგვისტომდე მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ კონკურსში მონაწილე კანდიდატებზე, მათ შორის ნინო გოგატიშვილზე მოძიებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს წარედგინათ 24 აგვისტოს.

<u>კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია:</u>

ნინო გოგატიშვილს აქვს სპეციალობით მუშაობის 14-წლიანი გამოცდილება. იგი 2005-2009 წლებში მუშაობდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, ხოლო 2009-2020 წლებში საქართველოს უზენაეს სასამართლოში სხვადასხვა თანამდებობებზე.

ნინო გოგატიშვილი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-13 ჯგუფის კურსდამთავრებულია.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით ნინო გოგატიშვილმა წარმატებით გადალახა სრული სასწავლო კურსის ყველა ეტაპი. ამასთან, მას გააჩნია მოსამართლისათვის საჭირო თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები და პიროვნული თვისებები. კანდიდატი იყო დისციპლინირებული მსმენელი.

სკოლაში სწავლის პერიოდში მას არ დაკისრებია დისციპლინური პასუხისმგებლობა.

<u>კანდიდატთან გასაუბრება:</u>

საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ დაინიშნა კანდიდატებთან გასაუბრება. საბჭოს წევრები კანდიდატ ნინო გოგატიშვილი გაესაუბრნენ 9 ოქტომბერს. გასაუბრება წარიმართა ღია სხდომაზე და მას ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

<u>კანდიდატის შეფასება:</u>

2020 წლის 5 ნოემბრიდან 12 ნოემბრამდე პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15-მა წევრმა კანდიდატი ნინო გოგატიშვილი შეაფასა კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით.

ნინო გოგატიშვილის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, საბჭოს შემფასებელმა თხუთმეტივე წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

საბჭოს წევრთა მიერ ნინო გოგატიშვილის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმების მახასიათებლების მიხედვით კანდიდატის მიერ მოპოვებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 1276 ქულა, რაც ქულების მაქსიმალური რაოდენობის 85.07%-ია.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

2020 წლის 18 ნოემბერს გორის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის პირველ ვაკანსიაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა საბჭოს 14-მა წევრმა მიიღო, ნინო გოგატიშვილმა მოიპოვა 13 ხმა.

აღნიშნულ ვაკანსიაზე ბიულეტენში შეყვანილ იქნა 10 კანდიდატი, მათგან 4 ყოფილი მოსამართლე და 6 იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი მსმენელი.

1. ბერეკაშვილი ქეთევან - 0 ხმა
2. გოგატიშვილი ნინო - 13 ხმა
3. ვატიტაძე გრიგოლ - 0 ხმა
4. ზათიაშვილი ვერიკო - 1 ხმა
5. თაყაძე თეა - 0 ხმა
6. კაკაურიძე შალვა - 0 ხმა
7. ნადოი რეზო - 0 ხმა
8. ნოზაძე პაატა - 0 ხმა
9. ხაბალაშვილი ნინო - 0 ხმა
10. ჯავახიშვილი მაია - 0 ხმა.

<u>დასკვნა:</u>

კანდიდატის - ნინო გოგატიშვილის კეთილსინდისიერების (საბჭოს შემფასებელმა ყველა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს) და კომპეტენტურობის (წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის, სამართლის ნორმების ცოდნის, პროფესიული თვისებების) კრიტერიუმების გათვალისწინებით, კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, სხვა 9 კანდიდატთან შედარებით უპირატესობა მიენიჭა და გორის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესდა ნინო გოგატიშვილი.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი